საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

06 ივნ 2024 წ.

KA000017668427424

№ 2024/1670

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიორგი გაბიტაშვილს

წინადადება

ბრალდებულ[redacted] უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიების დაწყებისა და დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლების განსაზღვრის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

ბრალდებულ [redacted] განმარტებისა[1] და საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის ანალიზით იკვეთება ბრალდებულ [redacted] დაცვის უფლების შეზღუდვისა და დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლების განუსაზღვრელობის პრობლემა.

ფაქტობრივი გარემოებები:

1.დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან, 2024 წლის 10 მაისს, დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვედრისას, ბრალდებულმა [redacted] განმარტა, რომ 2024 წლის 9 მაისს, დაახლოებით 19:00 საათისთვის გავიდა სახლიდან და ეზოში დახვდა 10-მდე პირი, რომელთაგან ერთმა წარუდგინა თავი და უთხრა, რომ იყო პოლიციელი (სახელი „[redacted]"), მის სახლში წავიდოდნენ და გაჩხრეკდნენ. ისინი ცდილობდნენ ქუჩას გარიდებოდნენ და ძალის გამოყენებით სადარბაზოსკენ მიათრევდნენ, წაართვეს სახლის გასაღები. სადარბაზოში შეყვანის შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი გამოირჩეოდა აგრესიით, ახსენებდა საპროტესტო აქციებზე მის აქტიურობას. [redacted] აღწერით, ხსენებული პირი იყო [redacted] და ვინაობისა და წოდების თაობაზე კითხვის

პასუხად, ცარიელი საფულე მიაწოდა და უთხრა, რომ ერქვა „[redacted]“, თუმცა შემდეგ ამ პირის მეორე საბუთი მიაწოდა თანმხლებმა პირმა, სადაც ეწერა სახელი „[redacted]“. [redacted] თქმით, ხელში აყვანილი აათრიეს მესამე სართულზე, გააღეს ბინის კარი და შეცვივდნენ ბინაში, [redacted]. ამ დროს, [redacted] გამოვიდნენ და ერთ-ერთი მათგანი ბინაში შეყვა ([redacted]). [redacted] მტკიცებით, პოლიციელებმა მაშინვე დაიწყეს ოთახებში სიარული და მოქმედებების ჩატარება, აცხადებდნენ, რომ გადაუდებელი ჩხრეკა ტარდებოდა და არ ჰქონდათ მოწმის მიყვანის ვალდებულება. ბრალდებულის მტკიცებით, გამუდმებით იმეორებდა და ითხოვდა ადვოკატთან დარეკვას, ჩხრეკის პროცესის გადაღებას და მოწმის დასწრებას.

[redacted] თქმით, როცა სახლში შევიდნენ, მისი ტელეფონი იდო ტახტზე, ერთმა პოლიციელმა აიღო, გადააწოდა მეორეს, რომელმაც განბლოკა ტელეფონი და დაიწყო „რაღაცის გაშვება“ და ინსტალირება, მისი ნებართვის გარეშე. [redacted] თქმით, ამ დროს, არც გამომძიებელი იყო მისული და არც ჩხრეკის „ორდერი“ ჰქონდათ მისთვის ნაჩვენები, თუმცა მიმდინარეობდა ელექტროტექნიკის ამოღება, ჩართვა, დათვალიერება და ა. შ. თვითონ კვლავ ითხოვდა ადვოკატის მიყვანას, ვიდეო გადაღებას და მოწმის დასწრებას. [redacted] თქმით, [redacted] იდგა კარებში და პოლიციელების მოქმედებებს ვერ აკვირდებოდა. არც უთქვამთ, როგორ უნდა მოქცეულიყო როგორც მოწმე და რისი უფლება ჰქონდა.

[redacted] თქმით, როცა გამომძიებელი მივიდა, აჩვენა ფურცელი, რომ ტარდებოდა გადაუდებელი ჩხრეკა და მოეწერა ხელი, რაზეც მისგან უარი მიიღო, რადგან საჭიროებდა ადვოკატთან გასაუბრებას. [redacted] თქმით, უთხრეს, რომ ადვოკატთან დაკავშირების უფლებას არ მისცემდნენ, ჯერ ჩხრეკას ჩაატარებდნენ და შემდეგ ისაუბრებდნენ ადვოკატის თაობაზე. ამ დროს, [redacted] პოლიციელმა აიღო ტელეფონი და დაიწყო გადაღება, უთხრა, რომ „live“ გადიოდა იქ, სადაც საჭირო იყო. პოლიციელები დადიოდნენ სხვა ოთახებში, რასაც იგი აპროტესტებდა, მათ კი უპასუხეს, რომ [redacted] ([redacted]) ხედავდა ყველაფერს. [redacted] თქმით, [redacted] იდგა იმავე ოთახში, სადაც თვითონ იმყოფებოდა და ვერ ხედავდა გვერდითა ოთხში რა მოქმედებები ტარდებოდა. ამის შემდეგ [redacted] გაიყვანეს ბინიდან და აღარ შეუყვანიათ. უთხრეს, რომ თვითონ არ ენდო მოწმეს და ჩხრეკა მოწმის გარეშე გაგრძელდებოდა.

[redacted] თქმით, ამის შემდეგ გამომძიებელმა ჩხრეკის პროცესი დაწყებულად გამოაცხადა. ათამდე ადამიანი გადიოდა და შედიოდა ბინიდან, იღებდნენ და ყრიდნენ ნივთებს. ამ დროს, თვითონ იჯდა სკამზე, ვერ აკვირდებოდა, ვის რა ნივთი მიჰქონდა ან რას იღებდა; იმეორებდა, რომ ითხოვდა ადვოკატს და ვიდეოგადაღებას, რაზეც ირონიულად პასუხობდნენ, რომ არ სჭირდებოდა მოწმე და ადვოკატი. შემდეგ მოუწოდეს სიმშვიდისკენ და უთხრეს, რომ ადვოკატი მისული იყო, რაზეც ერთმა პოლიციელმა იკითხა, ამოეყვანათ თუ არა ადვოკატი, რაზეც [redacted] პოლიციელმა („[redacted]“) უპასუხა: „ადვოკატი არ დამახახოთ“. ადვოკატი მას ჩხრეკის დასრულებამდე არ უნახავს.

[redacted] თქმით, ეკითხებოდნენ მისთვის უცნობ ნივთებზე, თუ რა იყო და ყრიდნენ ოთახში; ყველა ნივთს უკავშირებდნენ აქციებს. ასევე, მიმდინარეობდა მუქარა, აქციებზე საუბარი, რასაც თან ახლდა შეურაცხმყოფელი ტექსტები. ის არ პასუხობდა შეკითხვებს და ადვოკატის მიყვანას ითხოვდა, რაზეც დამცინავად პასუხობდნენ, რომ ადვოკატი ქვევით იყო; ყველაფერს გადაიღებდნენ, რაც საჭირო იყო, ხოლო მოწმე არ სჭირდებოდათ. შემდეგ იკითხეს გაფორმებულ იარაღზე, რაზეც მიუთითა და გამოიტანეს მეორე ოთახიდან. თვითონ იარაღის ამოღების ეპიზოდი არ დაუნახავს. უთხრა, რომ წარმოუდგენდა საბუთებსაც, რისი უფლებაც მოგვიანებით მისცეს.

[redacted] თქმით, ამის შემდეგ საძინებელ ოთახში ისე აწარმოეს ჩხრეკა, რომ იქ არც თვითონ, არც მოწმე და არც გამომძიებელი არ შესულან. [redacted] თქმით, მიუთითა, რომ ვერ ხედავდა, რა პროცედურები ტარდებოდა იმ ოთახში. გამომძიებელმა კი უთხრა, რომ საერთოდ ვერ ხედავდა, თუ რა ხდებოდა საძინებელ ოთახში. [redacted] თქმით, გამოჰქონდათ „ეირ სოფთის“ იარაღები. მათ მიერ გამოტანილი იარაღების ოდენობას ვერ აკონტროლებდა, თუმცა ნამდვილი იარაღები ოდნავ განცალკევებით ედოთ, ხოლო „ეირ სოფთის“ იარაღები არც შეუმოწმებიათ, პირდაპირ ალაგებდნენ სურათის გადასაღებად. [redacted] თქმით, გამოიტანეს „ეირ სოფთის“ სხვადასხვა ინვენტარი, რაზეც ეუბნებოდნენ, რომ აქციისთვის იყენებდა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. [redacted] თქმით, გადაიღეს სურათები და ყველაფერი ჩაყარეს პარკებში, ზოგი ჩანთაში, ზოგი ძირს დაებნათ; ასევე, უამრავ ელექტროტექნიკაზე გაკეთდა ზოგადი ჩანაწერი ოქმში (ჩაწერეს „ჩიპები“, კამერები). გარდა ამისა, [redacted] თქმით, ითხოვდნენ, წვდომა მიეცა კომპიუტერზე და დაინტერესდნენ „სტარლინკის“ ინტერნეტით, რისი მოწყობილობაც მოხსნეს და წაიღეს. [redacted] თქმით, ჩხრეკის მთელი პროცესის განმავლობაში ითხოვდა ვიდეოჩაწერას, რაც არ განხორციელებულა; მიუთითებდა კანონდარღვევებზე, რაზეც ირონიულად პასუხობდნენ, რომ არ აინტერესებდათ და მაინც ვერაფერს გააპროტესტებდა. [redacted] თქმით, შემდეგ გამოუცხადეს, რომ აღარ იყო მოწმე (თავიდან ეუბნებოდნენ, რომ იყო მოწმე, თუმცა გადაადგილების უფლება არ ჰქონდა) და იყო დაკავებული. [redacted] თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადეს, რომ აეყვანათ ადვოკატები, რომლებიც სახლის კარებთან მიესალმნენ, ასევე განემარტა, რომ დაკავებული ჰყავდათ იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებით. ადვოკატებმა ითხოვეს გასაუბრება, რისი უფლებაც არ მისცეს. ადვოკატებმა, ასევე, გააპროტესტეს, რომ იმ დრომდე არ შეუშვეს, თუმცა გამომძიებელმა უთხრა, რომ არ იცოდა იქ თუ იყვნენ, რაზეც ადვოკატებმაც და თვითონაც განაცხადეს, რომ ყველაფერი იცოდნენ და შეგნებულად არ უშვებდნენ. შემდეგ [redacted] ჩასვეს მანქანაში და გადაიყვანეს ორთაჭალაში. მისი თქმით, მთელ გზაზე გადაადგილებისას ხორციელდებოდა მის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა, მათ შორის, ოჯახის წევრების მიმართ და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარის შემცველი ფრაზები, აგდებული ტონით საუბარი („კამერასთან რომ ლაპარაკობ, თავი ვინ გგონია?!“ „რისთვის დადიხარ აქციებზე, მაინც არაფერი გამოგივათ“ და ა.შ.) როდესაც [redacted] ჰკითხა, ემუქრებოდნენ თუ არა, უპასუხეს, რომ მადლობა ეთქვა, რომ ნარკოტიკული საშუალება არ ჩაუდეს. ეს ფრაზა რამდენჯერმე გაუმეორეს. [redacted] თქმით, ამ ყველაფერს პოლიციელი „[redacted] (ან [redacted]) ახმოვანებდა, რომლის ამოცნობაც შეუძლია. [redacted] თქმით, ორთაჭალაში მდებარე ძეხობაში მივიდნენ ადვოკატები და ითხოვეს გასაუბრება, თუმცა უთხრეს, რომ იზოლატორში ნახავდნენ და იქ ვერ გაესაუბრებოდნენ. შემდეგ დაკავებული გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეხვდა ადვოკატებს.

საგულისხმოა, რომ ბრალდებულ [redacted] მიმართ პოლიციელების მხრიდან განხორციელებული

დღეს შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს სატელეფონო ცხელი ხაზის საშუალებით და მოგვიანებით, წერილობითაც მიმართა.[2]

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პოზიციით,[3] გასაუბრებისას [redacted] მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა. ამასთან, ვინაიდან [redacted] მიუთითებდა პოლიციელების მხრიდან განხორციელებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომისა და მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტებზე, კომპეტენციის ფარგლებში რეაგირების მიზნით, ინფორმაცია მიეწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მასმედიით - ტელევიზიების[4] პირდაპირი ეთერით - 2024 წლის 9 მაისს საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად ირკვევა:

- 20:48 საათზე - [redacted] სახლში შესული იყო პოლიცია და მას ადვოკატთან დარეკვის უფლებას არ აძლევდნენ;[5]
- 20:59 საათზე - [redacted] საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს კარებთან იდგნენ პოლიციელები, რომელთაგან ერთ-ერთის თქმით, მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები;
- 21:19 საათზე - [redacted] ძმის განცხადებით, [redacted] დარეკვისა და ადვოკატის გამოძახების უფლება არ მისცეს, მეზობელმა დარეკა ოჯახის წევრთან, მოცემული დროისთვის მიდიოდა ადვოკატი [ადგილზე];
- 21:45 საათზე - [redacted] საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს შესასვლელ კართან კვლავ იდგნენ პოლიციელები, რომელთა პირისპირ უკვე იმყოფებოდნენ ადვოკატები: [redacted] და [redacted], რომელებსაც შიგნით არ უშვებდნენ; ასევე, ეზოში შეკრებილი იყვნენ მოქალაქეები;
- 22:05 საათზე - ადვოკატმა [redacted] განაცხადა, რომ ადვოკატები უნდა ესწრებოდნენ საგამოძიებო მოქმედებებს, მათ კი - ფიზიკურად შესაძლებლობა არ ჰქონდათ შესულიყვნენ იქ, სადაც საგამოძიებო მოქმედება მიმდინარეობდა;
- 22:37 საათზე - პოლიციელებმა შენობიდან გამოიტანეს შეფუთული ნივთები (ჟურნალისტების თქმით, ტექნიკა, კომპიუტერები და სხვადასხვა ნივთები). ამ დროს, ადვოკატები კვლავ გარეთ იმყოფებოდნენ. ადვოკატმა [redacted] განაცხადა, რომ 1 საათი იყო, რაც არ ეძლეოდათ საგამოძიებო მოქმედებაში ჩართვის საშუალება;
- 22:39 საათზე, ადვოკატმა [redacted] განაცხადა, რომ არ უშვებდნენ 1 საათი და იქვე დააზუსტა - 55 წუთი;
- 22:40 საათზე - პოლიციელებმა შენობიდან კვლავ გამოიტანეს ნივთი;
- 22:41 საათზე - ადვოკატები შეუშვეს შენობაში;
- 22:48 საათზე - პოლიციელებმა შენობიდან გამოიყვანეს დაკავებული [redacted], ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს;
- პოლიციელების მიერ დაკავებული [redacted] წაყვანის შემდეგ, ადვოკატებმა განაცხადეს, რომ [redacted] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის ბრალდებით დააკავეს; ადვოკატებს მასთან მხოლოდ მცირე დროით - 2-3 წუთით გასაუბრების შესაძლებლობა მიეცათ, თუმცა, არა ცალკე; ჩხრეკა ჩატარდა ადვოკატების მონაწილეობის გარშე.

2. დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება

2024 წლის 10 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადების[6] თანახმად, სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა შენახვას გულისხმობს, [redacted]] დააკავეს. სამინისტროს ხსენებულ განცხადებას ახლავს ვიდეო მასალა.

2024 წლის 11 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო განცხადებით,[7] სამართალდამცველებმა [redacted] და [redacted] საცხოვრებელ ბინებში ჩხრეკა ჩაატარეს. განცხადების თანახმად, „ბრალდებულმა პირებმა, უკანონოდ მოიპოვეს და მათ კუთვნილ კომპიუტერულ სისტემაში შეინახეს ასეულობით პირის პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია. [...] პოლიციამ [redacted] საცხოვრებელი ბინიდან ასევე, ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღები და სხვადასხვა სპეციალური საშუალებები, გარდა ამისა, ამოღებული იქნა სამხედრო დანიშნულების ვაზნები, რომლებსაც დაკავებული უკანონოდ ინახავდა."

2024 წლის 12 მაისს, პროკურატურის საჯარო განცხადებით,[8] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ [redacted] და [redacted], სხვადასხვა პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს, კერძოდ, სქესობრივი კავშირის ამსახველი ვიდეო-აუდიო ჩანაწერების უკანონოდ მოპოვების მიზნით, [redacted] კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში ფარულად დაამონტაჟეს ვიდეო-აუდიო ჩამწერი მოწყობილობები, რომელთა საშუალებით მუდმივ რეჟიმში, ფარულად ხდებოდა [redacted] სხვადასხვა პირებთან ინტიმური კავშირის უკანონო ჩაწერა. [...] ბრალდებულები, [...] სისტემატურად, უკანონოდ იღებდნენ და ინახავდნენ ინტიმური კავშირის ამსახველ აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს. [...] ამასთან, ერთ-ერთი ბრალდებული საცხოვრებელ სახლში მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საბრძოლო მასალას - სამხედრო სპეციალური დანიშნულების 30 ცალ ვაზნას. 2 პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, ერთ-ერთ მათგანს, ასევე, - 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ხსენებულ განცხადებას ახლავს ვიდეო მასალა.

2024 წლის 12 მაისს, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციით,[9] სასამართლომ [redacted] მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა. სასამართლო სხდომის უმეტესი ნაწილი დახურული იყო. პროკურატურამ დაცვის მხარეს გაუთქმელობის ხელშეკრულებაზეც მოაწერინა ხელი. საქმის დეტალები, გარდა იმისა, რასაც თავად სახელმწიფო ბრალდება ავრცელებს, უცნობია. სხდომის იმ

ნაწილში, რომელიც ჟურნალისტებისთვის ღია იყო, [redacted] აღნიშნა, რომ ჩხრეკის დროს პოლიციელების მხრიდან გრძნობდა დამამცირებელ მოპყრობას და ცინიკურ დამოკიდებულებას.

სამართლებრივი დასაბუთება:

თავისუფლების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით და ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" მე-5 მუხლით დაცულია ადამიანის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისუფლების უფლების შეზღუდვის არსებობის დასადგენად არ ეყრდნობა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების დასკვნას, არამედ თავად აფასებს სიტუაციას.[10] ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს მთელ რიგ ფაქტორებს, როგორიცაა: ღონისძიების სახეობა, აღსრულების ხასიათი, ხანგრძლივობა, შედეგები და განხორციელების წესი;[11] აგრეთვე, დახურული ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა, პირის გადაადგილებაზე ზედამხედველობის და კონტროლის ხარისხი, იზოლირების ზომა და სოციალური კონტაქტების შესაძლებლობა;[12] არის თუ არა პირი რეალურად ხელისუფლების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ.[13]

ევროპული სასამართლოს პოზიციით, იძულების ელემენტი, მცირე პერიოდის მიუხედავად, მიუთითებს თავისუფლების შეზღუდვაზე კონვენციის მე-5 მუხლის მნიშვნელობით, მათ შორის, პოლიციის მიერ პირის შეჩერების და ჩხრეკის განხორციელებისას.[14] სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანთა გაჩერების და ჩხრეკის ხანგრძლივობა 30 წუთს არ აღემატებოდა, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მათ სრულად აღკვეთილი ჰქონდათ გადაადგილების თავისუფლება და ჰქონდათ ვალდებულება, დარჩენილიყვნენ ადგილზე და გაევლოთ ჩხრეკა, ხოლო თუ ამას არ დათანხმდებოდნენ, დაექვემდებარებოდნენ დაკავებას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[15]

ანალოგიურად, ქართული კანონმდებლობით, დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.[16]

დაცვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციით, დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება გარანტირებულია კანონით.[17] პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.[18] კონსტიტუციის ხსენებული მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით.[19]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა - საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამოძიებლის საქმიანობაში, **აგრეთვე დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა.**

ბრალდებულის უფლება ადვოკატზე სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ფუნდამენტური უფლებაა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" მე-6 მუხლით გათვალისწინებული დანარჩენი გარანტიების ეფექტიანობას უზრუნველყოფს.[20]

ევროპული სასამართლო „ბრალდების" ცნების ავტონომიურ მნიშვნელობაზე მითითებით,[21] ბრალდებად მიიჩნევს კომპეტენტური ორგანოს მიერ დანაშაულის ჩადენაში ბრალდების თაობაზე ოფიციალურ შეტყობინებას; ასევე, აფასებს მნიშვნელოვნად შეიცვალა თუ არა პირის მდგომარეობა უფლებამოსილი ორგანოების მიერ მის წინააღმდეგ ეჭვის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შედეგად.[22] ამასთან, დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირი ითვლება ბრალდებულად.[23] შესაბამისად, მასზე ვრცელდება კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები.

ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ხარვეზების პრევენციას და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას; ასევე, წარმოადგენს პოლიციის მიერ დაკავებული ეჭვმიტანილების მოწყვლადობის საპირწონეს და იძულებისა და არასათანადო მოპყრობისგან ეჭვმიტანილთა დაცვასთან ერთად, აზღვევს ბრალდებულს თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან და დუმილის უფლების დაცვას უზრუნველყოფს.[24]

საგულისხმოა, რომ იურიდიულ მომსახურებაზე წვდომის შეფერხება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, დროებით და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.[25] ევროპული სასამართლო ადვოკატის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან თავსებადობის შემოწმებისას თავდაპირველად აფასებს შეზღუდვის მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობას და შემდეგ - გავლენას, რომელსაც შეზღუდვა აყენებს მთლიანი პროცესის სამართლიანობას.[26] მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება იყოს კონკრეტულ შემთხვევაში სიცოცხლის, თავისუფლების ან ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის სერიოზული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის დამაჯერებელი არგუმენტებით ჩვენება, რა დროსაც ხელისუფლებას ეკისრება გადაუდებელი ვალდებულება დაიცვას პოტენციური ან ფაქტობრივი მსხვერპლის უფლებები განსაკუთრებით კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. ამ უფლების შეზღუდვის გასამართლებლად ინფორმაციის გაჟონვის ზოგადი რისკი ვერ იქნება მნიშვნელოვანი საფუძველი.[27]

ასეთი მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც, საჭიროა მთლიანი პროცესის სამართლიანობის კომპლექსური შეფასება; ხოლო სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის მნიშვნელოვანი საფუძვლების არარსებობისას - სამართალწარმოების სამართლიანობა ძალიან მკაცრად ფასდება. სახელმწიფო ვალდებულია დამაჯერებლად წარმოაჩინოს, თუ რატომ არ დარღვეულა პროცესის სამართლიანობა ადვოკატის დახმარების შეზღუდვით საქმის კონკრეტულ გარემოებებში.[28]

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 მუხლის „ც" პუნქტი ბრალდებულს ანიჭებს ზოგად უფლებას, მიიღოს ადვოკატის იურიდიული მომსახურება და მხარდაჭერა მთელი სამართალწარმოების განმავლობაში.[29] მისი გამოყენების მეთოდი წინასასამართლო ეტაპზე (გამოძიების დროს) დამოკიდებულია სამართალწარმოების განსაკუთრებულ მახასიათებლებზე და საქმის გარემოებებზე. დაცვის უფლება ვრცელდება, თუ მე-6 მუხლის დებულებების თავიდანვე დაუცველობის გამო შესაძლებელია სერიოზული ზიანი მიადგეს პროცესის სამართლიანობას. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გამოძიების ეტაპის მნიშვნელობაზე სამართალწარმოების მომზადებისთვის, რადგან ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება ხშირად განსაზღვრავს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედება განიხილება სასამართლო პროცესზე.[30]

სამართალწარმოების სამართლიანობისთვის საფრთხის შემცველად შეფასდა ის ფაქტი, რომ ადვოკატი არ მონაწილეობდა საგამოძიებო მოქმედებებში - ამოცნობასა ან საგამოძიებო ექსპერიმენტში.[31] ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ სახლის ჩხრეკის დროს ადვოკატის დაუსწრებლობა წარმოადგენდა სერიოზულ პროცედურულ დარღვევას, რასაც შეეძლო განმცხადებლის წინააღმდეგ წარმართული პროცესის სამართლიანობის ხელყოფა. მოცემულ საქმეში განმცხადებელს არ მიუღია ადვოკატის დახმარება დაკავების პერიოდში, სახლის ჩხრეკამდე, ჩხრეკისას ან მისი დასრულების შემდეგ, რის შედეგად ამოიღეს მტკიცებულება (მობილური ტელეფონი).[32]

ქართული საპროცესო კანონმდებლობით, დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე.[33] ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება; ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია, აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.[34]

ბრალდებულს უფლება აქვს: მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს.[35] თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში, პროკურორი ვალდებულია ერთჯერადად გადადოს გონივრული ვადით (არა უმეტეს 5 დღისა). ამ ვადის გასვლისთანავე საგამოძიებო მოქმედება ტარდება ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, თუ არ არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევა. ადვოკატის გამოუცხადებლობა არ იწვევს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადებას.[36] გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა გულისხმობს, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.[37]

ჩხრეკის პროცედურული გარანტიები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კანონის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[38] ასეთ ზომად სასამართლო განიხილავს ჩხრეკის პროცესზე ნეიტრალური მონმის დასწრების შესაძლებლობას ან/და ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღებას.[39]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ჩხრეკის პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში განიხილავს, ხოლო მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების საკითხს აფასებს მე-6 მუხლის ფარგლებში საქმის განხილვის სამართლიანობის ჭრილში.

სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა სახლის ჩხრეკის ჩატარებისას: როცა არსებული გარემოებები მიუთითებდა მომჩივნების მიმართ ძალის გამოყენებისა და დაშინების თაობაზე და პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიებაც დაიწყო;[40] ასევე, ჩხრეკისას გამოყენებული იქნა არაპროპორციული ძალა და არსებობდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ადამიანის ღირსების შელახვის რისკი.[41] გარდა ამისა, დარღვევა დადგინდა ისეთ შემთხვევაშიც, როცა ჩხრეკა ჩატარდა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, 2 მოწმის სავალდებულო დასწრების გარეშე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ პროცედურაზე, როგორც უფლებაში თვითნებური ჩარევისგან დაცვის ადეკვატურ გარანტიაზე.[42] ამის საპირისპიროდ, დარღვევა არ დადგინდა, როცა ჩხრეკა განხორციელდა განმცხადებლისა და მესამე პირის თანდასწრებით, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს შეეძლო ეფექტიანად გაეკონტროლებინა განხორციელებული ჩხრეკის მოცულობა.[43]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა საქართველოს წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეზე,[44] სადაც განმცხადებლები მიუთითებდნენ

ნარკოტიკული საშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის ე. წ. „ჩადების“ თაობაზე, რომლის უკანონო ფლობისთვის გასამართლდნენ, ოპერატიული ინფორმაციით გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ჩხრეკისა და პოლიციელების ჩვენებების საფუძველზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ჩხრეკა იყო საგამოძიებო მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფდა მსჯავრდების დამაფუძნებელ მტკიცებულებას. სადავო ჩხრეკის ჩატარების მეთოდმა და ამ ჩხრეკის შედეგების მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენების გზამ, მთლიანობაში გავლენა იქონია სასამართლო განხილვის პროცედურულ სამართლიანობაზე.[45] სწორედ ამ კუთხით მიუდგა სასამართლო საჩივარს და გამოყო განსახილველად მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხი: მტკიცებულების მოპოვების მეთოდი; მიეცა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, სადავო გაეხადა მტკიცებულების ხამდვილობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას; საქმის მასალებში არსებული სხვა მტკიცებულებები. იმავე სტანდარტით და მიდგომით იხელმძღვანელა სასამართლომ მომდევნი პერიოდში განხილული საქმეების გადაწყვეტისას, ვინაიდან სასამართლოს მიდგომა, ნეიტრალურ მტკიცებულებათა მოპოვების ვალდებულებასთან დაკავშირებით, არ იცვლება.[46]

მტკიცებულების სანდოობასთან დაკავშირებით ეჭვების წარმოშობისას შესაბამისად იზრდება სხვა მტკიცებულებებით მისი გამყარების საჭიროება.[47] სწორედ ამიტომ, ხსენებულ საქმეებში სასამართლომ განიხილა საკითხი - დადასტურდა თუ არა ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები/ნივთიერება სხვა წყაროებიდან მიღებული მტკიცებულებით და ჩათვალა, რომ მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება, ჩხრეკების ოქმების (ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულების) არარსებობის პირობებში არ იყო თავისთავად საკმარისად მყარი.[48]

გაუთქმელობის ვალდებულება:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს გამოძიების მონაცემის გახმაურება - ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მასალების ან გამოძიების მონაცემის გახმაურება იმის მიერ, ვინც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო მისი გახმაურების აკრძალვის შესახებ.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს[49] პლენუმი განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე სარჩელს. თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ [redacted] საქმეზე[50] კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (სისხლის სამართლის პროცესის დახურვის გამო) და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (უდანაშაულობის პრეზუმფცია) დარღვევა დაადგინა. მოცემულ საქმეზე დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების საკითხის შეფასება გარკვეულწილად რელევანტურია [redacted] საქმისთვისაც, განსხვავებული სპეციფიკის მიუხედავად.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პროცესის ადრეული ეტაპიდან მომჩივანს, დაზარალებულსა და მოწმეებს დაეკისრათ ინფორმაციის არგასაჯაროების ვალდებულება. შემდგომში ადგილობრივმა სასამართლოებმა, პროკურორის შუამდგომლობით, სხდომების დახურვის გადაწყვეტილება მიიღეს, რაც, მათ შორის, ემყარებოდა საქმის მასალებში სხვა პირების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის სავარაუდო არსებობას.[51] მომჩივანს, დაკისრებულმა გაუთქმელობის ვალდებულებამ ხელი შეუშალა მის წინააღმდეგ საქმეზე საჯარო კომენტარის გაკეთებაში. საპირისპიროდ, პროკურატურის ორგანოებმა გააკეთეს სხვადასხვა განცხადება საქმესთან დაკავშირებით და საჯაროდ გაავრცელეს საქმის მასალების ნაწილები. ასევე, მთავარი მოწმე თავისუფლად აძლევდა ინტერვიუს მასმედიას და აკეთებდა ბრალდების შემცველ განცხადებებს მომჩივნის წინააღმდეგ.[52]

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომჩივნის დაკავებისთანავე, არაერთი საჯარო თანამდებობის პირის და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების განცხადებებზე,[53] რასაც მოჰყვა მომჩივნის ბრალდების საქმესთან დაკავშირებული მასალის გავრცელება. მიუხედავად იმისა, რომ საქმემ მიიპყრო საზოგადოების დიდი ყურადღება, რაც საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისგან მოითხოვდა საზოგადოების ინფორმირებას, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა გაავრცელეს საქმის მასალა, განცხადებასთან ერთად, რაც სცილდება იმ დისკრეციის ფარგლებს და წინდახედულობას, რაც აუცილებელია მომჩივნის უდანაშაულობის პრეზუმფციის დასაცავად.[54] შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კუმულატიურად აღებულმა ამ ელემენტებმა წაახალისა საზოგადოება დაეჯერებინა, რომ მომჩივანი დამნაშავე იყო, სანამ მისი ბრალეულობა დადასტურდებოდა და სასამართლო განაჩენს გამოიტანდა. ამ გარემოებების მავნე ზემოქმედება მომჩივნის უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებაზე ვერ კომპენსირდება მომჩივნისა და მისი ადვოკატების მიერ გაკეთებული ზოგიერთი განცხადებით (რომლებიც მოგვიანებით აღნიშნულის გამო პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს), რაც აშკარად არღვევს გაუთქმელობის ვალდებულებას ან შესაძლებლობით, მოთხოვნილი იქნეს ამ ვალდებულების უარყოფა, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, უარყვეს შესაბამისმა ორგანოებმა.[55]

მოცემული საქმის ანალიზი

[redacted] გადმოცემით, პოლიციელებმა ეზოდან ძალის გამოყენებით აიყვანეს მის საცხოვრებელ ბინაში, სადაც თვითონ იმყოფებდა ერთ ოთახში, იჯდა სკამზე და პოლიციელები ბინაში ჩხრეკას ატარებდნენ. შესაბამისად, მას სავარაუდოდ შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების თავისუფლება და იმყოფებოდა პოლიციელების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ. ამდენად, სწორედ ამ მომენტიდან [redacted] იყო დაკავებული/ბრალდებული და მას ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება ჰქონდა. მითუმეტეს, როგორც [redacted] განმარტავს, მან თავიდანვე მოითხოვა ადვოკატთან დაკავშირება და შემდეგ მთელი ჩხრეკის პერიოდში გამუდმებით ითხოვდა ადვოკატს, თუმცა აღნიშნულზე უარი ეთქვა.

[redacted] საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკა ისე დასრულდა, რომ ადვოკატებს მასთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მიეცათ. აღნიშნულს ადასტურებს ტელევიზიების საშუალებით პირდაპირ ეთერში გადაცემული ვიდეო/აუდიო მასალა, რომლის თანახმად, 2024 წლის 9 მაისს, დაახლოებით 21:45 საათზე, [redacted] საცხოვრებელი კორპუსის კარებთან უკვე იმყოფებოდნენ ადვოკატები, თუმცა **კარებთან მდგარი პოლიციელები ადვოკატებს არ უშვებდნენ დაახლოებით 55 წუთის განმავლობაში.** ადვოკატები შენობაში მხოლოდ 22:41 საათზე შეუშვეს. საგულისხმოა, რომ ჩხრეკისას ამოღებული ნივთები ან მათი ნაწილი ადვოკატების შენობაში შესვლამდე რამდენიმე წუთით ადრე, 22:37 და 22:40 საათზე, პოლიციელებმა შენობიდან გამოიტანეს. შესაბამისად, მიუხედავად [redacted] მოთხოვნისა, ადვოკატები ვერ დაესწრნენ მის ბინაში ჩატარებულ ჩხრეკას, რადგან პოლიციელებმა ამის საშუალება არ მისცეს. ამასთან, ადვოკატების შენობაში შესვლიდან 7 წუთში - 22:48 საათზე, დაკავებული [redacted] პოლიციელებმა შენობიდან ჩამოიყვანეს და მანქანაში განათავსეს. შესაბამისად, დასტურდება ადვოკატებისა და ბრალდებულის განცხადება, რომ ადვოკატებმა ჩხრეკის დასრულების შემდეგ მცირე დროით, მხოლოდ რამდენიმე წუთით ნახეს მათი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული, თუმცა მაშინაც სრულყოფილი და კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონიათ.

საგულისხმოა, რომ საგამოძიებო ორგანოს არ წარმოუდგენია ბრალდებულის ადვოკატთან შეხვედრის შეზღუდვის დასაბუთება, თუ რა მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობდა დაკავებულის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვისთვის. [redacted] განმარტებით, პოლიციელებმა განუცხადეს, რომ მისი ბინის ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ტარდებოდა. მართალია, კანონით, ადვოკატის დაუსწრებლობა არ აბრკოლებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების, მათ შორის, ჩხრეკის ჩატარებას, თუმცა ხაზი უნდა გაესვას ხსენებული საქმის გარემოებებს: [redacted] განმარტებით ირკვევა, რომ საცხოვრებელი კორპუსის ეზოში დააკავეს, გასაღები პოლიციელებმა ძალის გამოყენებით აიღეს მისგან და მასთან ერთად შევიდნენ ბინაში. შესაბამისად, [redacted] პოლიციელების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და მთლიან ბინასაც პოლიციელები აკონტროლებდნენ, რაც ბინაში არსებული სავარაუდო მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს გამორიცხავდა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ადვოკატები იმყოფებოდნენ [redacted] საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს შესასვლელ კარებთან, თუმცა პოლიციელებმა ისინი არ შეუშვეს შენობაში/ბინაში და არ მისცეს ჩხრეკის პროცესზე დასწრების შესაძლებლობა. ამდენად, საგამოძიებო ორგანოს მოეთხოვებოდა არა ჩხრეკის გადადება, არამედ უკვე დაწყებულ ჩხრეკის პროცესში ადგილზე მყოფი ადვოკატების დასწრების უზრუნველყოფა, რომ მათ დაუბრკოლებლად შეძლებოდათ დაცვის განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დაცვის უფლების განხორციელებას და ადვოკატთან დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომობას. ადვოკატები 55 წუთი არ შეუშვეს დაკავებული ბრალდებულის - [redacted] ბინაში, რომლის ჩხრეკა მიმდინარეობდა და რომლის შედეგად, ბრალდების მხარის ინფორმაციით, სავარაუდოდ ამოღებული ნივთები - ცეცხლსასროლი იარაღის მასრები და კომპიუტერული მონაცემები წარმოადგენს [redacted] ბრალდების დამაფუძნებელ სავარაუდო მტკიცებულებებს. შესაბამისად, ჩხრეკის პროცესში ადვოკატების მონაწილეობის უსაფუძვლოდ შეზღუდვამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს მთლიანად პროცესის სამართლიანობაზე. მითუმეტეს, გაურკვეველია, დაცული იქნა თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ქებურიას საქმეზე დადგენილი სტანდარტი - უზრუნველყვეს თუ არა პოლიციელებმა ჩხრეკის პროცესის ნეიტრალური მტკიცებულებებით, მათ შორის, ვიდეო გადაღების და ობიექტური დამკვირვებლის მოწვევა/დასწრების გზით გამყარება. [redacted] თქმით, მისი მოთხოვნის მიუხედავად, ის ვერ ხედავდა ბინაში ჩხრეკის პროცესს, არც ნეიტრალური მონმე დასწრებია საგამოძიებო მოქმედებას და არც ვიდეო გადაღება მომხდარა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს **დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა.**

დაკავებულ ბრალდებულთან - [redacted] 55 წუთის განმავლობაში (ჩხრეკის დასრულებამდე) ადვოკატების შესვლის აკრძალვა წარმოადგენს ადვოკატების საქმიანობაში უკანონო ჩარევას, რითაც ბრალდებულის დაცვის განხორციელებას ხელი შეეშალა. ბრალდების დამაფუძნებელი და საკვანძო მტკიცებულებების მოსაპოვებლად ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის პროცესში ბრალდებულის ადვოკატებისთვის დასწრების შეზღუდვა, შესაძლოა, სწორედ [redacted] დაცვის განხორციელების ხელშეშლის მიზანს ემსახურებოდა.

აღნიშნული გარემოებები შეიცავს სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველს წარმოადგენს.

2.დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლები

[redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარეს დაეკისრა გაუთქმელობის ვალდებულება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლებს და როგორც წესი, ამ საქმეშიც, დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულება ვრცელდება სისხლის სამართლის საქმის სრულ ინფორმაციაზე.

საგულისხმოა, რომ [redacted] ბრალი წარდგენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 157[1] მუხლებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის საჯარო განცხადებებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლით გათვალისწინებული ბრალდების საქმის მასალები, მაღალი ალბათობით, შეიცავს სხვა პირების პირადი ცხოვრების თაობაზე ინფორმაციას. შესაბამისად, ხსენებული ინფორმაციის დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა და მისი გამჟღავნების თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნისთვის გამოსადეგ საშუალებას შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის საქმის მონაწილეებისთვის, მათ შორის, დაცვის მხარისთვის, გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება. თუმცა, იმ ფონზე, როცა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა - შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ გაავრცელეს ინფორმაცია [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და აგრეთვე, გამოაქვეყნეს მტკიცებულებების ნაწილი - ვიდეო ჩანაწერი, ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების ფოტოსურათები, აუცილებელია ბრალდებულ [redacted] უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, რომ საზოგადოებას სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე არ შეექმნას მთაბეჭდილება ბრალდებულის დამნაშავეობის თაობაზე. შესაბამისად, საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ბრალდების მხარის საჯარო განცხადებებსა და გამოქვეყნებული მტკიცებულებების ნაწილთან დაკავშირებით დაცვის მხარეს მიეცეს საწინააღმდეგო პოზიციის და არგუმენტების გაჟღერებისა და გამოთქმის შესაძლებლობა, თუნდაც ჩხრეკისა და ამოღების ან/და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის სხდომის უდიდესი ნაწილი დახურული იყო და საზოგადოებისთვის უცნობია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის გამოყენებით, ბრალდებისა და დაცვის მხარის არგუმენტების შესახებ.

ამასთან, უცნობია, [redacted] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების (საბრძოლო მასალის - მასრების უკანონოდ შენახვა) ნაწილში დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრების მიზნის, საფუძვლის და აუცილებლობის დასაბუთება.

შესაბამისად, **მიზანშეწონილად მივიჩნევთ, პროკურატურამ იმსჯელოს [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლების შესახებ (კონკრეტულ ინფორმაციაზე მითითებით) და გაუთქმელობის ვალდებულება გაავრცელოს სხვა პირების პერსონალური და პირადი ცხოვრების შემცველ ინფორმაციაზე, ინფორმაციის გამჟღავნებისა და პირების იდენტიფიცირების ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებაზე აკრძალვის დაწესებით.**

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების თანახმად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოთ გამოძიება ბრალდებულ [redacted] დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატების საქმიანობაში უკანონო ჩარევის შესაძლო ფაქტზე;
2. ბრალდების მხარემ კონკრეტული დასაბუთებით დაადგინოს დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების გონივრული ფარგლები.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები სახალხო დამცველს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] სახალხო დამცველის რწმუნებულის 2024 წლის 10 მაისის ოქმი.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 13 მაისის N2024/1037 წერილი.

[3] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 23 მაისის NSIS92400009825 წერილი.

[4] იხ. ტელეკომპანიის „ტვ პირველის" 2024 წლის 9 მაისის პირდაპირი ეთერი: 20:59-21:05 საათამდე პერიოდი - <https://www.myvideo.ge/tv/pirvelitv/2024-05-09/20:59:20> 21:45-21:46 საათამდე პერიოდი - <https://www.myvideo.ge/tv/pirvelitv/2024-05-09/21:45:14> 22:03-22:07 საათამდე პერიოდი - <https://www.myvideo.ge/tv/pirvelitv/2024-05-09/22:03:27> 22:37-22:54 საათამდე პერიოდი - <https://www.myvideo.ge/tv/pirvelitv/2024-05-09/22:37:17> გადაცემის ჩანაწერი სრულად: „[redacted] 9.05.2024" <https://www.youtube.com/watch?v=pCss9K32bT0> ტელეკომპანიის „მთავარი არხის" 2024 წლის 9 მაისის პირდაპირი ეთერი: 21:45-21:55 საათამდე პერიოდი - <https://www.myvideo.ge/tv/mtavari/2024-05-09/21:45:33> გადაცემის ჩანაწერი სრულად: „მთავარი 9 საათზე - 9.05.2024" <https://www.youtube.com/watch?v=gloisV6TuKY> 22:34-22:56 საათამდე პერიოდი - <https://www.myvideo.ge/tv/mtavari/2024-05-09/22:34:27> გადაცემის ჩანაწერი სრულად „ღამის მთავარი საგანგებო ეთერი 9.05.2024" <https://www.youtube.com/watch?v=6PMGpGLsmXE> ტელეკომპანიის „ფორმულას" 2024 წლის 9 მაისი პირდაპირი ეთერი: 21:16-23 საათამდე პერიოდი - <https://www.myvideo.ge/tv/formula/2024-05-09/21:16:06> 21:45 საათი -

<https://www.myvideo.ge/tv/formula/2024-05-09/22:12:31> 22:37-22:50 საათამდე პერიოდი -
<https://www.myvideo.ge/tv/formula/2024-05-09/22:37:01> გადაცემის ჩანაწერი სრულად „[redacted]"
<https://www.youtube.com/watch?v=CRJ7DQy16QA> [ბოლოს ნანახია: 14.05.2024 წ.]

[5] იხ. <https://publika.ge/ojakhis-tqmit-bloger-[redacted]-sakhlshi-policia-shevida-mas-advokattan-darekvis-uflebas-ar-adzleven/> [ბოლოს ნანახია: 13.05.2024 წ.]

[6] იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-iaraghisa-da-sabrdzolo-masalis-ukanono-shedzena-shenakhvis-braldebit-erti-piri-daakava/16260> [ბოლოს ნანახია: 16.05.2024 წ.].

[7] იხ. <https://police.ge/ge/brifingi-shinagan-saqmeta-saministroshi/16265> [ბოლოს ნანახია: 16.05.2024 წ.].

[8] იხ. <https://pog.gov.ge/news/prokuraturam-piradi-cxovrebis-saidumlos-ukanonod-mopovebis-da-shenaxvis-faqtebze-2-pirs-braldeba-war> [ბოლოს ნანახია: 27.05.2024 წ.].

[9] იხ. <https://netgazeti.ge/news/722143/> [ბოლოს ნანახია: 27.05.2024 წ.].

[10] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: H.L. v. the UK, 05.10.2004 წ. განაცხადი N45508/99 §90; Creanga v. Romania [GC], 23.02.2012 წ. განაცხადი N29226/03 §92.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Engel and others v. the Netherlands, 08.06.1976 წ. განაცხადი N5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72 §59; Guzzardi v. Italy, 06.11.1980 წ. განაცხადი N7367/76, §92; Medvedyev and others v. France [GC], 29.03.2010 წ. განაცხადი N3394/03 §73; Khlaifia and Others v. Italy [GC], 15.12.2016 წ. განაცხადი N16483/12, §64; De Tommaso v. Italy [GC], 23.02.2017 წ. განაცხადი N 43395/09 §80.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Guzzardi v. Italy, 06.11.1980 წ. განაცხადი N7367/76, §95; H.M. v. Switzerland, 26.02.2002 წ. განაცხადი N39187/98 §45; H.L. v. the UK, 05.10.2004 წ. განაცხადი N45508/99 §91; Storck v. Germany, 16.06.2005 წ. განაცხადი N61603/00 §73.

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Nolan and K. v. Russia, 12.02.2009 წ. განაცხადი N2512/04, §96.

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Krupko and others v. Russia, 26.06.2014 წ. განაცხადი N26587/07 §36; Gillan and Quinton v. the UK, 12.01.2010 წ. განაცხადი N4158/05 §57; Shimovolos v. Russia, 21.06.2011 წ. განაცხადი N30194/09 §50.

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Gillan and Quinton v. the UK 12.01.2010 წ. განაცხადი N4158/05 §57.

[16] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 170.

[17] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 31, პუნქტ. 3.

[18] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 13, პუნქტ. 4.

[19] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 13, პუნქტ. 6.

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Pishchalnikov v. Russia, 24.09.2009 წ. განაცხადი N7025/04 §78; Dvorski v. Croatia [GC], 20.10.2015 წ. განაცხადი N25703/11 §101.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Blokhin v. Russia [GC], 23.03.2016 წ. განაცხადი N47152/06 §179.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Eckle v. Germany, 15.07.1982 წ. განაცხადი N8130/78 §73; Ibrahim and others v. the UK [GC], 13.09.2016 წ. განაცხადი N50541/08, 50571/08, 50573/08 და 40351/09 §249; Simeonovi v. Bulgaria [GC], 12.05.2017 წ. განაცხადი N21980/04 §110.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Heaney and McGuinness v. Ireland, 21.12.2000 წ. განაცხადი N34720/97 §42; Brusco v. France, 14.10.2010 წ. განაცხადი N1466/07 §§47-50.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Ibrahim and others v. the UK [GC], 13.09.2016 წ. განაცხადი N50541/08, 50571/08, 50573/08 და 40351/09 §255; Simeonovi v. Bulgaria [GC], 12.05.2017 წ. განაცხადი N21980/04 §112; Beuze v. Belgium [GC] 09.11.2018 წ. განაცხადი N71409/10 §§125-128.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Simeonovi v. Bulgaria [GC], 12.05.2017 წ. განაცხადი N21980/04 §117.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Ibrahim and others v. the UK [GC], 13.09.2016 წ. განაცხადი N50541/08, 50571/08, 50573/08 და 40351/09 §257; Doyle v. Ireland, 23.05.2019 წ. განაცხადი N51979/17 §75.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Ibrahim and others v. the UK [GC], 13.09.2016 წ. განაცხადი N50541/08, 50571/08, 50573/08 და 40351/09 §259; Simeonovi v. Bulgaria [GC], 12.05.2017 წ. განაცხადი N21980/04 §117.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Ibrahim and others v. the UK [GC], 13.09.2016 წ. განაცხადი N50541/08, 50571/08, 50573/08 და 40351/09 §§ 264-265; Dimitar Mitev v. Bulgaria 08.03.2018 წ. განაცხადი N34779/09 §71.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ანგარიში საქმეზე: Can v. Austria 12.07.1984 წ. განაცხადი N9300/81 §54.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეებზე: Magee v. the UK, 06.06.2000 წ. განაცხადი N28135/95 §41; Öcalan v. Turkey [GC], 12.05.2005 წ. განაცხადი N46221/99 §131; Ibrahim and others v. the UK [GC], 13.09.2016 წ. განაცხადი N50541/08, 50571/08, 50573/08 და 40351/09 §253.

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Beuze v. Belgium [GC], 09.11.2018 წ. განაცხადი N71409/10 §135.

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ayetullah Ay v. Turkey, 27.10.2020 წ. განაცხადი N29084/07 და 1191/08 §135.

[33] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 38, ნაწ. 2.

[34] იქვე, მუხლ. 38, ნაწ. 5

[35] იქვე, მუხლ. 38, ნაწ. 7

[36] იქვე, მუხლ. 40, ნაწ. 3

[37] იქვე, მუხლ. 112, ნაწ. 5

[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე: „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1, „ა".

[39] იქვე, II-107.

[40] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Koval and others v. Ukraine, 15.11.2012 წ. განაცხადიN22429/05 §113.

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Rachwalski and Ferenc v. Poland, 28.07.2009 წ. განაცხადი N44709/99 §73; Vinks and Ribicka v. Latvia 30.01.2020 წ. განაცხადი N28926/10 §113-114.

[42] Budak v. Turkey, 16.02.2021 წ. განაცხადი N69762/12 §57 და 61.

[43] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Maslák and Michálková v. the Czech Republic, 14.01.2016 წ. განაცხადი N52028/13 §79-80, 83.

[44] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Kobiashvili v. Georgia, 14.03.2019 წ. განაცხადი N36416/06 §73; Megrelishvili v. Georgia, 07.05.2020 წ. განაცხადი N30364/09 §39; Tlashadze and Kakashvili v. Georgia, 25.03.2021 წ. განაცხადი N41674/10 §53; Kalandia v. Georgia, 22.04.2021 წ. განაცხადი N57255/10 §44.

[45] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kobiashvili v. Georgia, 14.03.2019 წ. განაცხადი N36416/06 §60.

[46] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Megrelishvili v. Georgia, 07.05.2020 წ. განაცხადი N30364/09 §33; Tlashadze and Kakashvili v. Georgia, 25.03.2021 წ. განაცხადი N41674/10 §46; Kalandia v. Georgia, 22.04.2021 წ. განაცხადი N57255/10 §38.

[47] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kobiashvili v. Georgia, 14.03.2019 წ. განაცხადი N36416/06 §72.

[48] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Kobiashvili v. Georgia, 14.03.2019 წ. განაცხადი N36416/06 §72; Megrelishvili v. Georgia, 07.05.2020 წ. განაცხადი N30364/09 §38; Tlashadze and Kakashvili v. Georgia, 25.03.2021 წ. N41674/10 განაცხადი N41674/10 §52; Kalandia v. Georgia 22.04.2021 წ. განაცხადი N57255/10 §43.

[49] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 23 ივლისის N3/1-3/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე: „გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12309> [ბოლოს ნანახია: 27.05.2024 წ.].

[50] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Mamaladze v. Georgia, 03.11.2022 წ. განაცხადი N9487/19.

[51] იქვე, §94.

[52] იქვე, §99.

[53] იქვე, §111.

[55] იქვე, §114.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი